შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა,
№6, სართული 3, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350

ინსპექტირების ანგარიშის №: FT-005/01/26-I005/1

გაცემის თარიღი: “09” 01 2026 წელი

ინსპექტირების თარიღი: 08.01.2026÷ 09.01.2026 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება.

ვამტკიცებ,

დირექტორი _____ გ. ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „საქანელა დეველოპმენტ“, ს/კ 404718873 დირექტორი: გიორგი ჭიჭინაძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №-825/09/24-I825 (08.01.2026 წ) ხელშეკრულება №C-825/09/24-I825 (08.01.2026 წ)
ინსპექტირების სფერო:	საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება.

თბილისი
2026 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 12

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ნინა არეშიძე*** _____

წარმოდგენილი მასალები

1. ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71):
   - ტექნიკური რეგლამენტი - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (დანართი №2);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი №5);
2. СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო-საძიებო სამუშაოების მშენებლობისათვის";
3. პნ 01.01.-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
4. სნ და წ. IV-5-82 მიწის სამუშაოები;
5. სნ და წ. 2.02.02-85 ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუძეები;
6. სნ და წ. 2.02.03-85 ხიმინჯოვანი საძირკვლები;
7. პნ 02.01-08 შენობების და ნაგებობების ფუძეები;
8. სნ და წ. 2.02.01-83 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობებისათვის;
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება №257;
10. MEP-TP-G06.5 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპქტირებაზე წარმოდგენილია: ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

ექსპერტიზის მიზანია წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა საინჟინრო გეოლოგიური კვლევების წარმოებისათვის საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან (ტექნიკური დავალება თან ერთვის საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას).

შპს „საქანელა დეველოპმენტის" დაკვეთით (დაკვ. №99/2024), შპს „გეოინჟკომპლექსის" მიერ, 2024 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ქ. თბილისში, საქანელას ქუჩაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი ითვალისწინებდა სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათებას, დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების პირობების გადაწყვეტას და არსებული საყრდენი კედლების და შენობების დაფუძნების პირობების (საძირკვლის ტიპი, მასალა, ზომები და ფუძის გრუნტი) დადგენას.

დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დამკვეთის ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

უშუალოდ სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში, წინა წლებში ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, კერძოდ: 2006 წელს შპს „გეოინჟკომპლექსის" სამართალმემკვიდრის სს „საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მასალები დაცულია შპს „გეოინჟკომპლექსის" არქივში; 2019 წელს შპს „ცენტრ პლაზას" დაკვეთით, შპს „თირის" მიერ ივანე ჯავახიშვილის და საქანელას ქუჩებზე ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა;

2021 წელს კი შპს „სილქნეტის" დაკვეთით შპს „გლობუსის" მიერ, ზვიად გამსახურდიას ქ. №12-ში, საქანელას ქუჩის მიმდებარედ ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა. შპს „თირის" და შპს „გლობუსის" კვლევის მასალები მოძიებული და გადმოცემულია დამკვეთის მიერ.

ამჟამად შპს „საქანელა დეველოპმენტის" მიერ გადმოცემული ტექნიკური დავალების თანახმად, გათვალისწინებული იყო არსებული საყრდენი კედლების და შენობების საძირკვლების ჩაღრმავების, ზომების, მასალის და ფუძის გრუნტის

დადგენა, ასევე ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ ერთი ჭაბურღილის გაყვანა, ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის დასადგენად.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად ტერიტორიის ფარგლებში, ტოპოგეგმაზე მონიშნული იქნა 15 შურფის და ერთი ჭაბურღილის გასაყვანი ადგილები, რომლებთანაც მისასვლელი გზები შეირჩა დამკვეთთან ერთად უშუალოდ ტერიტორიაზე.

ტექნიკური დავალების და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების თანახმად, ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა 14 შურფი, ვინაიდან №10 შურფის გაყვანა მიუდგომლობის გამო ვერ მოხერხდა, ხოლო №1-ის გაყვანა შესაძლებელი იქნა 1 მ-მდე და ხშირი მიწისქვეშა კომუნიკაციების არსებობის გამო დაღრმავება შეუძლებელია. შურფებით გაშიშვლებული იქნა არსებული საყრდენი კედლების და შენობების საძირკვლები. №1 შურფის უბანზე შენობის საძირკვლის გაშიშვლება ვერ მოხერხდა და მისი ჩაღრმავება დადგინდა მეპატრონის მიერ გადმოცემული პროექტის მიხედვით.

ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ გაყვანილი იქნა ერთი ჭაბურღილი №16, სიღრმით 15,0 მ.

წინა წლებში შესრულებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დროს ჩატარებულია შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

2006 წელს სს „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ, ტერიტორიაზე გაყვანილია 11 ჭაბურღილი, სიღრმით 10–13 მ-ის ფარგლებში, 2019 წელს შპს „თირის“ მიერ გაყვანილია 6 ჭაბურღილი, სიღრმით 15–25 მ-ის ფარგლებში, ხოლო 2021 წელს შპს „გლობუსის“ მიერ გაყვანილია 18 ჭაბურღილი, სიღრმით 9–20 მ-ის ფარგლე- ბში.

ბურღვითი სამუშაოები შესრულებულია მექანიკურ-სვეტური ბურღვის მეთოდით, საბურღი დაზგებით „უგბ-1ვს“ და „ურბ-2A2“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჩატარებული კვლევების დროს ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, ჭაბურღილებიდან აღებულია დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები და გრუნტის წყლის სინჯები. კერძოდ 2006 წელს ჩატარებული კვლევებისას აღებულია თიხოვანი გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 11 ნიმუში, მსხვილნატეხოვანი გრუნტის დარღვეული სტრუქტურის 3 ნიმუში და გრუნტის წყლის 3 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების შესწავლა ჩატარდა სს „საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

2019 წელს ჩატარებული კვლევებისას აღებულია 15 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში ძირითადი ქანებიდან და წყლის 5 სინჯი.

ძირითადი ქანის ნიმუშების შესწავლა ჩატარებულია სსიპ გ. წულიკიძის სამთო ინსტიტუტის საკონსტრუქტურო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში, ხოლო წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის ჰიდროქიმიურ ლაბორატორიაში.

2021 წელს ჩატარებული კვლებებისას აღებულია თიხოვანი გრუნტის 14 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში, მსხვილნატეხოვანი გრუნტის 2 დარღვეული სტრქუტურის ნიმუში, ძირითადი ქანის დაურღვეველი სტრუქტურის 9 ნიმუში და გრუნტის წყლის 6 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების შესწავლა ჩატარებულია სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში, წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები კი ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ ახლად გადაღებული ტოპოგეგმა 1:1000 მასშტაბში, რომელზეც დატანილი იქნა ყველა კვლევების დროს გაყვანილი გამონამუშევრების განლაგების ადგილები განსხვავებული ფერებით, ხოლო შტრიხებით აღნიშნულია ნომრები. ტოპოგეგმის მიხედვით შემოწმდა გამონამუშევრების ზედაპირის ნიშნულები და შესრულდა მათი კორექტირება.

ლაბორატორიული კვლევის მასალები კრებსითი ცხრილების კომპრესიული და ძვრაზე გამოცდის გრაფიკების და წყლის ქიმიური ანალიზის დასკვნების სახით ერთვის წინამდებარე დასკვნას დანართების სახით.

ტერიტორია ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ი. ჯავახიშვილის ქუჩით (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი), სამხრეთიდან აგროჰაბის ახალი შენობით და ვისოლის ავტოგასამართი სადგურით, აღმოსავლეთიდან მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ავტომაგისტრალით.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭალისპირა I ტერასის და I და II ტერასების გამყოფი ფერდის ნაწილს.

ტერიტორიის რელიეფი დახრილია სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, ხოლო ფერდზე განთავსებული პერიფერიული ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ.

ტექტონიკური თვალსაზრისით ქ. თბილისის რაიონი განლაგებულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ცენტრალური ტექტონიკური ზონის აღმოსავლეთ ნაწილში.

ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების რუკის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიის დასავლეთ ნახევარი მოქცეულია მაღალი საშიშროების რისკის არეალში, ხოლო აღმოსავლეთი ნახევარი დაბალი საშიშროების რისკის არეალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, საჭირო იქნება ფერდობის მდგრადობისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: ფერდობის დატერასება, გრუნტის კონტრბანკეტის მოწყობა, სხვადასხვა შემაკავებელი ნაგებობების და კონსტრუქციების გამოყენება (საყრდენი კედლები, კონტრფორსები, შემაკავებელი ხიმინჯები და სვეტები, ანკერები, დაანკერებული ფილები, გამამაგრებელი ფილები, პლომბები და სხვა).

აუცილებლობას წარმოადგენს ფერდის მასივის გაწყლოვანების გამორიცხვა (სხვადასხვა ტიპის დრენაჟის მოწყობა და სხვა).

ტერიტორიის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობები ძირითადად დანგრეულია, მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში არსებობს 2 სართულიანი კერძო საცხოვრებელი სახლი, დასავლეთ ნაწილში 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც განთავსებულია ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი და სამხრეთ ნაწილში ახლად აშენებული სასტუმრო „კარუსელის“ შენობა. ასევე ტერიტორიის ფარგლებში განთავსებულია მსუბუქი ტიპის ერთსართულიანი შენობები, რომლებიც გამოყენებულია საშენ მასალათა საწყობებად, მომსახურე მუშების საცხოვრებლად და საოფისეებად.

საკვლევი ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენის (P^3_2) ძირითადი ქანებით და მათი მფარავი ალუვიური (aQ_{IV}) მსხვილნატეხოვანი, დელუვიურ-პროლუვიური (dpQ_{IV}) თიხოვანი და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტებით.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ ტერიტორია ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით, რომლებიც გენეტიკურად წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების შედეგად ინფილტრაციის შედეგს. არ გამოირიცხება მათი კვება ძირითადი ქანების ნაპრალოვანი და კომუნიკაციური წყლებით.

საქართველოს სამშენებლო-კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით ქ. თბილისი მდებარეობს IIIგ რაიონში.

პნ 01.05-08 („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლების მნიშვნელობები უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურის ქ. თბილისი, დიდუბის მონაცემების მიხედვით, შემდეგია:

საშუალო წლიური ტემპერატურა – +12,6^{0}C;

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – +40^{0}C;

ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი – -24^{0}C;

ნალექების რაოდენობა წელიწადში – 560 მმ;

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.



სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში, როგორც წინა წლებში, ასევე ამჟამად შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, ჩატარებული საველე სამუშაოების

მონაცემების საფუძველზე შედგენილია კვლევითი გამონამუშევრების სვეტების და ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები, ასევე შურფებით გაშიშვლებული არსებული საყრდენი კედლების და შენობების საძირკვლის ჭრილები.

აღნიშნული ჭრილებით აღწერილი და წარმოდგენილია ტერიტორიაზე ყველა წლებში გაყვანილი გამონამუშევრების გაერთიანებული მონაცემები, შესაბამისი კორექტირებით.

როგორც ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს 4 სახესხვაობის გრუნტი:

ტექნოგენური (tQIV) გრუნტი;

თიხოვანი (dpQIV) გრუნტი;

მსხვილნატეხოვანი (aQIV) გრუნტი;

ძირითადი ქანები (P^3_2).

ტექნოგენური გრუნტი გავრცელებულია თითქმის მთელ ტერიტორიაზე და წარმოდგენილია კენჭების, ღორღის, ცალკეული ლოდების, სამშენებლო ნაგვის და თიხოვანი გრუნტების ნარევით (ფენა 1). ნაყარი სუსტად შეკავშირებულია, არაერთგვაროვანია, ჭარბობს თიხოვანი გრუნტი და გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 1,2–6,0 მ-ის ფარგლებში.

თიხოვანი გრუნტი წარმოდგენილია ძნელპლასტიკურიდან ნახევრადმყარამდე კონსისტენციის ღია ყავისფერიდან-ყავისფრამდე თიხნარებით, წვრილი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით 15%-მდე (ფენა 2). თიხნარები გავრცელებულია ნაყარი გრუნტის ქვეშ თითქმის ყველგან, ერთეული უბნების გარდა და მათი სიმძლავრე ცვალებადობს 1,5–7,4 მ-ის ფარგლებში.

ქვიშნარის ფენა (ფენა 3) სიმძლავრით 1,90 მ აღინიშნება მხოლოდ №5 ჭაბურღილში.

მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია სხვადასხვა ფრაქციის (3–5 სმ) უმთავრესად თიხნარის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით (ფენა 3). კენჭნარები გავრცელებულია ტერიტორიის უმეტეს ნაწილში უმთავრესად თიხნარების ქვეშ და მათი სიმძლავრე 0,4 მ-დან 2,1 მ-მდეა. ზოგან კენჭნარები ფიქსირდება ნაყარი გრუნტის ქვეშ, ზოგან გადარეცხილია და არ არის გავრცელებული. ძირითადი ქანები წარმოდგენილია თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით და მათი ეროზიული ზედაპირი გახსნილია ყველა ჭაბურღილით, მიწის ზედაპირიდან 3,8–11,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში. ზოგან ძირითადი ქანები გამოვლინდა შურფებითაც, კერძოდ სამშენებლო ტერიტორიის დასავლეთი საზღვრის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლის ფუძეში.

ძირითადი ქანების ზედა ფენა, სიმძლავრით 0,5–2,8 მ-მდე ძლიერ გამოფიტულია,

რომელიც დაფიქსირებულია სს „საქალაქმშენპროექტის“ მიერ, 2006 წელს ჩატა-რებული კვლევებისას და იგი გამოყოფილია, როგორც ფენა 4.

სიღრმეში ქანების გამოფიტულობა თანდათან მცირდება და ქანები ნაკლებად გამოფიტულია (ფენა 5).

ტერიტორიის ცალკეულ უბანზე დასავლეთის მხარეს აღინიშნა ძირითადი ქანების გამოსავლები, სადაც გაიზომა წოლის ელემენტები, რომელიც შემდეგია: დაქა- ნების აზიმუტი ჩდ 350^0, დახრის კუთხე საშუალოდ 25^0. ამ მონაცემებით არის დატანილი ძირითადი ქანები ტერიტორიის გეოლოგიურ ჭრილებზე.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით.

ინჟინერ-გელოგმა დაადგინა ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის წყლები დაფიქსირებულია სხვადასხვა წლებში ჩატარებული ყველა კვლევების დროს. კერძოდ 2006 წელს სს „საქალაქ-მშენპროექტის“ მიერ ჩატარებული კვლევებისას გრუნტის წყლები დაფიქსირებულია მიწის ზედაპირიდან 2,5–9,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში, რომელთა დონეები დამყარებულია იმავე სიღრმეებზე. 2019 წელს შპს „თირის“ მიერ ჩატარებული კვლევებისას დაფიქსირებულია მხოლოდ დამყარების დონეები მიწის ზედაპირი- დან 4,0–8,8 მ-ის სიღრმის ფარგლებში. 2021 წელს შპს „გლობუსის“ მიერ, ჩატარებული კვლევებისას გრუნტის წყლის გამოვლინების დონეები დაფიქსირებულია მიწის ზედაპირიდან 5,5–8,5 მ-ის სიღრმის ფარგლებში, ხოლო დამყარების დონეები დაფიქსირებულია უფრო ღრმად 6,0–11,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში.

გენეტიკურად გრუნტის წყლები წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს, რომლის კვებაშიც გარკვეულ როლს ასრულებს ძირითა-დი ქანების ნაპრალოვანი წყლები და ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლებიც.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები კრებსითი ცხრილების, კომპრესიული და ძვრაზე გამოცდების გრაფიკების სახით ერთვის წინამდებარე დასკვნას დანა-რთების სახით, ხოლო საანგარიშო მნიშვნელობები ამოკრებილი, შეჯერებული, კორექტირებული და გადმოცემულია დასკვნითი ნაწილის ცხრილში.

როგორც გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზების შედეგებიდან ჩანს, წყლები ხასიათდება სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით, კერძოდ სინჯე-ბის უმრავლესობა ხასიათდება ძლიერი აგრესიულობით W_4 და W_6 წყალშეუღწე-ვადი მარკის ბეტონების მიმართ და სუსტი აგრესიულობით W_8 წყალშეუღწევადი მარკის ბეტონების მიმართ.

პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76) კლინკერში ჩანართებით ჩ3შ<65%,

C_3A<7%, C_3A+C_4AF<22%, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W_4–W_6–W_8 მარკის ბეტონებისადმი.

არმატურის მიმართ:

არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ასევე დდადგინეს საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები, (მეწყერი, კარსტი, ჩამოქცევები და სხვა) არ ფიქსირდება.

ტერიტორიის ნაწილი განთავსებულია გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის მაღალი საშიშროების რისკის არეალში, ასევე 15-ზე მეტი დახრილობის ფერდის ფარგლებში, რაც წარმოადგენს უარყოფით ფაქტორებს ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეფასებისას.

ტერიტორიის ამგები გრუნტების ფენებში ჩატარებული კვლევების განხილვის თანახმად, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოიყოფა 4 საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტი (სგე):

I სგე – ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1)

II სგე – თიხნარი (ფენა 2);

III სგე – კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3);

IV სგე – ძირითადი ქანები (ფენა 5).

ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4) მცირე სიმძლავრის და ფუძედ გამოუყენებლობის გამო ცალკე სგე-ად არ გამოიყოფა (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

ინჟინერ-გეოლოგი იძლევა რეკომენდაციებს ქვაბულის ჩაღრმავებისას გრუნტის წყლის დონემდე საჭირო იქნება წყალ-ქცევითი სამუშაოების ჩატარება, წყლის მოდენი ქვაბულის თითოეული კვ. მეტრიდან საორიენტაციოდ მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ

ქვაბულის და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებისთვის მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის პპ 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მიხედვით.

ქვაბულის 5 მ-ზე სიღრმის ქვემოთ ჩაღრმავებისას საჭირო იქნება პროექტში გათვალისწინდეს კედლების გამაგრების ღონისძიებები (ხიმინჯოვანი გამაგრება).

დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV-2-82-ის I-I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – სამივე სახეობით დამუშავებისას (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით, ხელით) – II ჯგუფს, სიმკვრივით 1800 კგ/მ³;

ბ) თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1890 კგ/მ^3;

გ) კენჭნარი გრუნტი (ფენა 3) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1950 კგ/მ^3;

დ) ძირითადი ქანი – ძლიერ გამოფიტული (ფენა 4) – ხელით დამუშავებისას – Vp ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ^3.

ანგარიშის ტექსტური ნაწილი შესაბამისობაშია ლაბორატორიული კვლევების და გრაფიკული ნაწილის მასალებთან.

ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

დანართი – საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

დასკვნა

ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში შესაბამისობაშია მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

იხ. კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: /ნ. არეშიძე/

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი,
პროფესორი: /მ. წიქარიშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /ა. ჭიპაშვილი/

შპს ,,გეოინჟკომპლექსი“ “GEOENGCOMPLEX” LTD



ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები

თბილისი 2024 TBILISI

გეოინჟკომპლექსი

დაკვეთა №99/2024

ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საძანელას ჭუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2024 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი"
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

I ტექსტური ნაწილი

1. ტექნიკური დავალება ----------1 – 3
2. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა ---------- 4 – 15

II ტექსტური ნაწილის დანართები

2006 წელს სს „საქქალაქქალაქმშენპროექტის“ მიერ
ჩატარებული ლაბორატორიული კვლევები

3. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ---------- 16
4. გრუნტის კომპრესიული და ძვრაზე გამოცდის გრაფიკები --------- 17 – 30
5. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა ------- 31 – 34
6. გრუნტის სიმკვრივის ნორმატიული და საანგარიშო
   მნიშვნელობები ---------- 35 – 37
7. გრუნტის სიმტკიცის ნორმატიული და საანგარიშო
   მნიშვნელობები ---------- 38 – 42
8. შპს „გლობუსის“ მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებიდან
   აღებული ცხრილი ---------- 1 ფურცელი

III გრაფიკული მასალა

9. ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში,
   ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით ---------- ფ. 1
10. გამონამუშევრების, გაშიშვლებული საძირკვლის და ჭაბურღილის
    გეოლოგიური ჭრილები (2024 წელი) ---------- ფ. 2 – 4
11. ჭაბურღილების და გამონამუშევრების გეოლოგიური
    ჭრილები (2006 წელი) ---------- ფ. 5 – 8
12. ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები (2006 წელი)---------- ფ. 9 – 15
13. პირობითი აღნიშვნები ---------- ფ. 16
14. ფოტომასალა (2024 წელი) – 4 ფურცელი

შპს „თირის“ მიერ 2019 წელს გაყვანილი ჭაბურღილები და უბნის ჭრილები

15. ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები ---------- 6 ფურცელი
16. ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილი---------- 1 ფურცელი

შპს „ბლოგუსის“ მიერ 2021 წელს გაყვანილი ჭაბურღილები და უბნის ჭრილები

17. ჭაბურღილების და უბნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 22 ფურცელი

შპს ” ქიუ ენჯინერინგი ”

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების საწარმოებლად შენობა ნაგებობისთვის

ქ. თბილისი 2024 წელი 16,07,2024

შენობის მისამართი -	• ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, ქუჩა საქანელა, მიმდებარედ ნაკვეთი 03/042, ს.კ. 01.15.04.003.048 • ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12, ს.კ. 01.15.04.003.044 • ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო, N 82, N 11, ს.კ. 01.15.04.003.008 • ქალაქი თბილისი , საქანელას ქუჩას,სასტუმრო ივერიასა და მ. ჯავახიშვილის დაღმართს შორის. ს.კ. 01.15.04.004.006 • ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. ჯავახიშვილი (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), N 11, ს.კ. 01.15.04.003.005 • ქალაქი თბილისი , ქუჩა საქანელა , N20-ის მოპირდაპირედ, ს.კ. 01.15.04.003.013 • ქალაქი თბილისი , ქუჩა საქანელა , N 23, ს.კ. 01.15.04.003.024
მშენებლობის პერიოდი -	2024-2028

საპროექტო შენობის დახასიათება

1. შენობის დანიშნულება -	მრავალფუნქციური ნაგებობა
2. შენობის პასუხისმებლობის დონე -	II კლასი (თანახმად ГОСТ Р 54257-2010)
3. კომპლექსის უდიდესი გაბარიტული ზომა -	247X110 მეტრი

4. სართლების რაოდენობა და შენობის სიმაღლე -	კომპლექსში შემავალი ყველაზე მალი შენობის სართულიანობა 30 სართული პარკინგის ჩათვლით, h= 105,6 მეტრი (2 ბლოკიდან უმაღლესი) (იხ. თანდართული სართუიალიანობის სქემა)
5. სარდაფის არსებობა, და ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან -	მაღლივზე 2 სართული დანარჩენებზე ერთი მიწისქვეშა პარკინგი (სანაპიროს ქუჩის მხრიდან)
6. შენობის ძირითადი კონსტრუქცია -	ჩარჩო კავშირებიანი სისტემა სიხისტის ბირთვებით
7. შენობის შევსება -	წვრილი სამშენებლო ბლოკები
8. სავარაუდო ფუნდამენტის ტიპი -	რკინაბეტონის საძირკვლის ფილა რიგ ადგილებში და დგარი ხიმინჯები ძირითადი შენობების ქვემოთ
9. ქვაბულის სავარაუდო კონსტუქცია -	დახრილი ფერდები, და ვერტიკალურად ჩაჭრილი ფერდები ხიმინჯების ფარდით გაძლიერება
10 . დატვითვები -	დგარ ხიმინჯზე დატვირთვა დაახლოებით 1500 ტ. ფილიაზე დაფუძნების შემთხვევაში 6კგ/სმ2-ზე
11. შენობის 0,00 ნიშნულის შესაბამისი აბსოლიტური ნიშნული -	+401,00
12. საძირკვლის მაქსიმალური დასაშვები ჯდენა -	50 მმ სრული, 0,002L ფარდობითი (თანახმად პნ 02.01-08)
13. ნორმატული დოკუმენტები	ИНЖЕНЕРНЫЕ ИЗЫКАНИЯ ДЛЯ СТРОИТЕЛЬСТВА СНиП1.02.07-87 ან მისი შესაბამისი სხვა ქვეყნის ნორმატული დოკუმენტი, მაგალითად **BS 1377 და BS 5930 ან** СП 11-105-97
14. შენიშვნა	**უნდა განისაზღვროს გრუნტების ყველა ის ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლები, რომლებიც საჭიროა ყველა შესაძლო ტიპის საძირკვლის საანგარიშოდ საქართველოში მოქმედი ნორმების შესაბამისად. კერძოდ:** **დაკიდული ხიმინჯებით ანგარიშისას СНиП 2.02.03-85 (თავი 4.2)** **დგარი ხიმინჯებით ანგარიშისას СНиП 2.02.03-85 (თავი 4.1)** **ფილოვანი ან სხვა მცირე ჩაღრმავების საძირკვლებისთვის პნ 02.01-08.** **საინჯინრო კვლევების დაწყებამდე შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას პროგრამა კვლევითი სამუშაოების ჩატარებაზე , რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას დამკვეთთან და პროექტის კონტრუქციული ნაწილის ავტორებთან.**

	ჭაბურღილები გაყვანილი უნდა იქნას ძირითად სუსტად გამოფიტულ კლდოვან ქანებამდე, მათში მინიმუმ 5 მ.-მდე შესვლით. დადგენილი უნდა იქნას კლდოვანი ქანების პლასტების აზიმუტი, დახრის მიმართულება . შურფების საშუალებით შესწავლილი უნდა იქნას ტერიტორიის პერიმეტრზე არსებული საყრდენი კელდებისა და არსებული შენობის საძირკვლების ჩაღრმავება , გაბარიტული ზომები და მათ ქვეშ არსებული გრუნტები.

შპს „ქიუ ენჯინერინგი“

დირექტორი / მთ. ინჟინერი დ. ქევანიშვილი

ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12-ში და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები

შპს „საქანელა დეველოპმენტის" დაკვეთით (დაკვ. №99/2024), შპს „გეოინჟკომპლექსის" მიერ, 2024 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ქ. თბილისში, საქანელას ქუჩაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი ითვალისწინებდა სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათებას, დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების პირობების გადაწყვეტას და არსებული საყრდენი კედლების და შენობების დაფუძნების პირობების (საძირკვლის ტიპი, მასალა, ზომები და ფუძის გრუნტი) დადგენას.

დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დამკვეთის ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

უშუალოდ სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში, წინა წლებში ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, კერძოდ: 2006 წელს შპს „გეოინჟკომპლექსის" სამართალმემკვიდრის სს „საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მასალები დაცულია შპს „გეოინჟკომპლექსის" არქივში; 2019 წელს შპს „ცენტრ პლაზას" დაკვეთით, შპს „თირის" მიერ ივანე ჯავახიშვილის და საქანელას ქუჩებზე ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა; 2021 წელს კი შპს „სილქნეტის" დაკვეთით შპს „გლობუსის" მიერ, ზვიად გამსახურდიას ქ. №12-ში, საქანელას ქუჩის მიმდებარედ ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა. შპს „თირის" და შპს „გლობუსის" კვლევის მასალები მოძიებული და გადმოცემულია დამკვეთის მიერ.

ამჟამად შპს „საქანელა დეველპმენტის" მიერ გადმოცემული ტექნიკური დავალების თანახმად, გათვალისწინებული იყო არსებული საყრდენი კედლების და შენობების საძირკვლების ჩაღრმავების, ზომების, მასალის და ფუძის გრუნტის დადგენა, ასევე ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ ერთი ჭაბურღილის გაყვანა, ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის დასადგენად.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად ტერიტორიის ფარგლებში, ტოპოგეგმაზე მონიშნული იქნა 15 შურფის და ერთი ჭაბურღილის გასაყვანი ადგილები, რომლებთანაც მისასვლელი გზები შეირჩა დამკვეთთან ერთად უშუალოდ ტერიტორიაზე.

ტექნიკური დავალების და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების თანახმად, ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა 14 შურფი, ვინაიდან №10 შურფის გაყვანა მიუდგომლობის გამო ვერ მოხერხდა, ხოლო №1-ის გაყვანა შესაძლებელი იქნა 1 მ-მდე და ხშირი მიწისქვეშა კომუნიკაციების არსებობის გამო დაღრმავება შეუძლებელია. შურფებით გაშიშვლებული იქნა არსებული საყრდენი კედლების და შენობების საძირკვლები. №1 შურფის უბანზე შენობის საძირკვლის გაშიშვლება ვერ მოხერხდა და მისი ჩაღრმავება დადგინდა მეპატრონის მიერ გადმოცემული პროექტის მიხედვით.

ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ გაყვანილი იქნა ერთი ჭაბურღილი №16, სიღრმით 15,0 მ.

წინა წლებში შესრულებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დროს ჩატარებულია შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

2006 წელს სს „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ, ტერიტორიაზე გაყვანილია 11 ჭაბურღილი, სიღრმით 10–13 მ-ის ფარგლებში, 2019 წელს შპს „თირის“ მიერ გაყვანილია 6 ჭაბურღილი, სიღრმით 15–25 მ-ის ფარგლებში, ხოლო 2021 წელს შპს „გლობუსის“ მიერ გაყვანილია 18 ჭაბურღილი, სიღრმით 9–20 მ-ის ფარგლებში.

ბურღვითი სამუშაოები შესრულებულია მექანიკურ-სვეტური ბურღვის მეთოდით, საბურღი დაზგებით „უგბ-1ვს“ და „ურბ-2A2“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჩატარებული კვლევების დროს ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, ჭაბურღილებიდან აღებულია დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები და გრუნტის წყლის სინჯები. კერძოდ 2006 წელს ჩატარებული კვლევებისას აღებულია თიხოვანი გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 11 ნიმუში, მსხვილნატეხოვანი გრუნტის დარღვეული სტრუქტურის 3 ნიმუში და გრუნტის წყლის 3 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების შესწავლა ჩატარდა სს „საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

2019 წელს ჩატარებული კვლევებისას აღებულია 15 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში ძირითადი ქანებიდან და წყლის 5 სინჯი.

ძირითადი ქანის ნიმუშების შესწავლა ჩატარებულია სსიპ გ. წულიკიძის სამთო ინსტიტუტის საკონსტრუქტურო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში, ხოლო წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის ჰიდროქიმიურ ლაბორატორიაში.

2021 წელს ჩატარებული კვლებებისას აღებულია თიხოვანი გრუნტის 14 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში, მსხვილნატეხოვანი გრუნტის 2 დარღვეული სტრქუტურის ნიმუში, ძირითადი ქანის დაურღვეველი სტრუქტურის 9 ნიმუში და გრუნტის წყლის 6 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების შესწავლა ჩატარებულია სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში, წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები კი ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ ახლადგადაღებული ტოპოგეგმა 1:1000 მასშტაბში, რომელზეც დატანილი იქნა ყველა კვლევების დროს გაყვანილი გამონამუშევრების განლაგების ადგილები განსხვავებული ფერებით, ხოლო შტრიხებით აღნიშნულია ნომრები. ტოპოგეგმის მიხედვით შემოწმდა გამონამუშევრების ზედაპირის ნიშნულები და შესრულდა მათი კორექტირება.

ლაბორატორიული კვლევის მასალები კრებსითი ცხრილების კომპრესიული და ძვრაზე გამოცდის გრაფიკების და წყლის ქიმიური ანალიზის დასკვნების სახით ერთვის წინამდებარე დასკვნას დანართების სახით.

ტერიტორია ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ი. ჯავახიშვილის ქუჩით (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი), სამხრეთიდან აგროჰაბის ახალი შენობით და ვისოლის ავტოგასამართი სადგურით, აღმოსავლეთიდან მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ავტომაგისტრალით.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭალისპირა I ტერასის და I და II ტერასების გამყოფი ფერდის ნაწილს.

ტერიტორიის რელიეფი დახრილია სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, ხოლო ფერდზე განთავსებული პერიფერიული ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ.

ტექტონიკური თვალსაზრისით ქ. თბილისის რაიონი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალური ტექტონიკური ზონის აღმოსავლეთ ნაწილში.

ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების რუკის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიის დასავლეთ ნახევარი მოქცეულია მაღალი საშიშროების რისკის არეალში, ხოლო აღმოსავლეთი ნახევარი დაბალი საშიშროების რისკის არეალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, საჭირო იქნება ფერდობის მდგრადობისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: ფერდობის დატერასება, გრუნტის კონტრბანკეტის მოწყობა, სხვადასხვა შემაკავებელი ნაგებობების და კონსტრუქციების გამოყენება (საყრდენი კედლები, კონტრფორსები, შემაკავებელი ხიმინჯები და სვეტები, ანკერები, დაანკერებული ფილები, გამამაგრებელი ფილები, პლომბები და სხვა).

აუცილებლობას წარმოადგენს ფერდის მასივის გაწყლოვანების გამორიცხვა (სხვადასხვა ტიპის დრენაჟის მოწყობა და სხვა).

ტერიტორიის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობები ძირითადად დანგრეულია, მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში არსებობს 2 სართულიანი კერძო საცხოვრებელი სახლი, დასავლეთ ნაწილში 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც განთავსებულია ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი და სამხრეთ ნაწილში ახლად აშენებული სასტუმრო „კარუსელის“ შენობა. ასევე ტერიტორიის ფარგლებში განთავსებულია მსუბუქი ტიპის ერთსართულიანი შენობები, რომლებიც გამოყენებულია საშენ მასალათა საწყობებად, მომსახურე მუშების საცხოვრებლად და საოფისეებად.

საკვლევი ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით და მათი მფარავი ალუვიური (αQ_{IV}) მსხვილნატეხოვანი, დელუვიურ-პროლუვიური (dpQ_{IV}) თიხოვანი და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტებით.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ ტერიტორია ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით, რომლებიც გენეტიკურად წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების შედეგად ინფილტრაციის შედეგს. არ გამოირიცხება მათი კვება ძირითადი ქანების ნაპრალოვანი და კომუნიკაციური წყლებით.

საქართველოს სამშენებლო-კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით ქ. თბილისი მდებარეობს IIIგ რაიონში.

პნ 01.05-08 („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლების მნიშვნელობები უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურის ქ. თბილისი, დიდუბის მონაცემების მიხედვით, შემდეგია:

– საშუალო წლიური ტემპერატურა – +12,6°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – +40°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი – -24°C;

– ნალექების რაოდენობა წელიწადში – 560 მმ;

– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 33 მ/წმ;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_0=0,60 კპა;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში, როგორც წინა წლებში, ასევე ამჟამად შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, ჩატარებული სავალე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილია კვლევითი გამონამუშევრების სვეტების და ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები, ასევე შურფებით გაშიშვლებული არსებული საყრდენი კედლების და შენობების საძირკვლის ჭრილები.

აღნიშნული ჭრილებით აღწერილი და წარმოდგენილია ტერიტორიაზე ყველა წლებში გაყვანილი გამონამუშევრების გაერთიანებული მონაცემები, შესაბამისი კორექტირებით.

როგორც ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს 4 სახესხვაობის გრუნტი:

1. ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტი;
2. თიხოვანი (dpQ_{IV}) გრუნტი;
3. მსხვილნატეხოვანი (αQ_{IV}) გრუნტი;
4. ძირითადი ქანები (P_2^3).

ტექნოგენური გრუნტი გავრცელებულია თითქმის მთელ ტერიტორიაზე და წარმოდგენილია კენჭების, ღორღის, ცალკეული ლოდების, სამშენებლო ნაგვის და თიხოვანი გრუნტების ნარევით (ფენა 1). ნაყარი სუსტად შეკავშირებულია, არაერთგვაროვანია, ჭარბობს თიხოვანი გრუნტი და გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 1,2–6,0 მ-ის ფარგლებში.

თიხოვანი გრუნტი წარმოდგენილია ძნელპლასტიკურიდან ნახევრადმყარამდე კონსისტენციის ღია ყავისფერიდან-ყავისფრამდე თიხნარებით, წვრილი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით 15%-მდე (ფენა 2). თიხნარები გავრცელებულია ნაყარი

გრუნტის ქვეშ თითქმის ყველგან, ერთეული უბნების გარდა და მათი სიმძლავრე ცვალებადობს 1,5–7,4 მ-ის ფარგლებში.

ქვიშნარის ფენა (ფენა 3ʲ) სიმძლავრით 1,90 მ აღინიშნება მხოლოდ №5 ჭაბურღილში.

მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია სხვადასხვა ფრაქციის (3–5 სმ) უმთავრესად თიხნარის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით (ფენა 3). კენჭნარები გავრცელებულია ტერიტორიის უმეტეს ნაწილში უმთავრესად თიხნარების ქვეშ და მათი სიმძლავრე 0,4 მ-დან 2,1 მ-მდეა. ზოგან კენჭნარები ფიქსირდება ნაყარი გრუნტის ქვეშ, ზოგან გადარეცხილია და არ არის გავრცელებული.

ძირითადი ქანები წარმოდგენილია თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით და მათი ეროზიული ზედაპირი გახსნილია ყველა ჭაბურღილით, მიწის ზედაპირიდან 3,8–11,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში. ზოგან ძირითადი ქანები გამოვლინდა შურფებითაც, კერძოდ სამშენებლო ტერიტორიის დასავლეთი საზღვრის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლის ფუძეში.

ძირითადი ქანების ზედა ფენა, სიმძლავრით 0,5–2,8 მ-მდე ძლიერ გამოფიტულია, რომელიც დაფიქსირებულია სს „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ, 2006 წელს ჩატარებული კვლევებისას და იგი გამოყოფილია, როგორც ფენა 4.

სიღრმეში ქანების გამოფიტულობა თანდათან მცირდება და ქანები ნაკლებად გამოფიტულია (ფენა 5).

ტერიტორიის ცალკეულ უბანზე დასავლეთის მხარეს აღინიშნა ძირითადი ქანების გამოსავლები, სადაც გაიზომა წოლის ელემენტები, რომელიც შემდეგია: დაქანების აზიმუტი ჩდ 350°, დახრის კუთხე საშუალოდ 25°. ამ მონაცემებით არის დატანილი ძირითადი ქანები ტერიტორიის გეოლოგიურ ჭრილებზე.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით.

ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის წყლები დაფიქსირებულია სხვადასხვა წლებში ჩატარებული ყველა კვლევების დროს. კერძოდ 2006 წელს სს „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ ჩატარებული კვლევებისას გრუნტის წყლები დაფიქსირებულია მიწის ზედაპირიდან 2,5–9,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში, რომელთა დონეები დამყარებულია იმავე სიღრმეებზე. 2019 წელს შპს „თირის“ მიერ ჩატარებული კვლევებისას დაფიქსირებულია მხოლოდ დამყარების დონეები მიწის ზედაპირიდან 4,0–8,8 მ-ის სიღრმის ფარგლებში. 2021 წელს შპს „გლობუსის“ მიერ, ჩატარებული კვლევებისას გრუნტის წყლის გამოვლინების დონეები დაფიქსირებუ-

ლია მიწის ზედაპირიდან 5,5–8,5 მ-ის სიღრმის ფარგლებში, ხოლო დამყარების დონეები დაფიქსირებულია უფრო ღრმად 6,0–11,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში.

გენეტიკურად გრუნტის წყლები წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს, რომლის კვებაშიც გარკვეულ როლს ასრულებს ძირითადი ქანების ნაპრალოვანი წყლები და ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლებიც.

როგორც აღნიშნულია მიმდინარე წელს შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლების და შენობების დაფუძნების პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა 14 შურფი, რომლებითაც გაშიშვლდა არსებული საყრდენი კედლების საძირკვლები. საძირკვლის ტიპი, მასალა, ზომები და ფუძის გრუნტი მოცემულია გრაფიკულ მასალაზე.

როგორც გრაფიკული მასალიდან ჩანს, საყრდენი კედლების და შენობების საძირკვლები დაფუძნებულია ლენტური ტიპის ყორე-ქვის და ბეტონის საძირკვლებით უმთავრესად თიხოვან გრუნტზე (ფენა 2), ცალკეულ უბნებზე საძირკვლებში დაფიქსირდა ძირითადი ქანები (ფენა 5).

საკვლევი ტერიტორიიდან ლაბორატორიული შესწავლის მიზნით აღებულია დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის გრუნტის ნიმუშები, კერძოდ 2006 წელს ჩატარებული კვლევებისას აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 11 ნიმუში და დარღვეული სტრუქტურის 3 ნიმუში.

2021 წელს ჩატარებული კვლევებისას აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 21 ნიმუში და დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში.

2019 წელს ჩატარებული კვლევებისას კი აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში.

ლაბორატორიულად თიხოვანი გრუნტის ნიმუშებზე ჩატარებულია ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, ასევე კომპრესიული და ძვრაზე გამოცდები. მსხვილნატეხოვანი გრუნტის ნიმუშებზე ჩატარებულია გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრა და შემავსებლის ნომენკლატურა.

ძირითადი ქანების ნიმუშები შესწავლილია ი. ჯავახიშვილის და საქანელას ქუჩებზე 2019 წელს და შპს „გლობუსის“ მიერ, 2021 წელს სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში.

ლაბორატორიაში ძირითად ქანებზე განსაზღვრულია სიმტკიცის ზღვრები ერთღერძა კუმშვაზე მშრალ და წყალნაჯერ მდგომარეობაში, სიმკვრივე, დრეკადობის მოდული და სიმტკიცითი მახასიათებლები.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები კრებსითი ცხრილების, კომპრესიული და ძვრაზე გამოცდების გრაფიკების სახით ერთვის წინამდებარე დასკვნას დანართების სახით, ხოლო საანგარიშო მნიშვნელობები ამოკრებილი, შეჯერებული, კორექტირებული და გადმოცემულია დასკვნითი ნაწილის ცხრილში.

როგორც გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზების შედეგებიდან ჩანს, წყლები ხასიათდება სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით, კერძოდ სინჯების უმრავლესობა ხასიათდება ძლიერი აგრესიულობით W_4 და W_6 წყალშეუღწევადი მარკის ბეტონების მიმართ და სუსტი აგრესიულობით W_8 წყალშეუღწევადი მარკის ბეტონების მიმართ.

პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76) კლინკერში ჩანართებით $C_3S<65\%$, $C_3A<7\%$, $C_3A+C_4AF<22\%$, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W_4–W_6–W_8 მარკის ბეტონებისადმი.

არმატურის მიმართ:

– არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
– საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთ განხილულიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები, (მეწყერი, კარსტი, ჩამოქცევები და სხვა) არ ფიქსირდება.

   ტერიტორიის ნაწილი განთავსებულია გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის მაღალი საშიშროების რისკის არეალში, ასევე 15-ზე მეტი დახრილობის ფერდის ფარგლებში, რაც წარმოადგენს უარყოფით ფაქტორებს ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეფასებისას.

ასეთ ტერიტორიებზე შენობა-ნაგებობების მშენებლობისას მიღებული უნდა იქნეს გამაგრებითი ღონისძიებები, რომელიც მოცემულია ზემოთ შესავალ ნაწილში.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, მთლიანად გამოკვლეული ტერიტორია ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული).

2. ტერიტორიის ამგები გრუნტების ფენებში ჩატარებული კვლევების განხილვის თანახმად, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოიყოფა 4 საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტი **(სგე):**

   I სგე – ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1)

   II სგე – თიხნარი (ფენა 2);

   III სგე – კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3);

   IV სგე – ძირითადი ქანები (ფენა 5).

   ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4) მცირე სიმძლავრის და ფუძედ გამოუყენებლობის გამო ცალკე **სგე**-ად არ გამოიყოფა.

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ფუძე-გრუნტად გამოყენებული უნდა იქნეს **IV სგე**-ის გრუნტი – ძირითადი ქანები (ფენა 5).

   საძირკვლის ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს ბურღვით-ნატენი დგარი ხიმინჯების გამოყენება.

4. ფუძის ანგარიშებისთვის, ქვემოთ ცხრილში მოცემულია ყველა **სგე**-ის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები, მიღებული ტერიტორიის ფარგლებში ყველა წლებში ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების განხილვის, კორექტირების და გაერთიანების შედეგად.

№	გრუნტის მახასიათებელი			საანგარიშო მნიშვნელობები			
				I სბე ფენა 1	**II სბე** ფენა 2	**III სბე** ფენა 3	**IV სბე** ფენა 5
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ³	II ზღვრული მდგომარეობა (ფუძის გაანგარიშება დეფორმაციაზე)	$\frac{\rho_{\|\|}^1}{\rho_{\|\|}^2}$	1,80	$\frac{1.89}{1.88}$	1,95	2,42
		I ზღვრული მდგომარეობა (ფუძის გაანგარიშება მზიდუნარიანობაზე)	$\frac{\rho_{\|}^1}{\rho_{\|}^2}$		$\frac{1.91}{1.87}$		
		ნორმატიული მნიშვნელობა	$\rho_{ნ}$		1,89		
2	ხვედრითი შეჭიდულობა $c_{კპა}$(კგძ/სმ²)	II ზღვრული მდგომარეობა	$c_{\|\|}$	18(0,18)	23(0,23)	2(0,02)	61(0,61)
		I ზღვრული მდგომარეობა	$c_{\|}$		21(0,21)		
		ნორმატიული მნიშვნელობა	$c_{ნ}$		24(0,24)		
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	II ზღვრული მდგომარეობა	$\varphi_{\|\|}$	10	17	38	26
		I ზღვრული მდგომარეობა	$\varphi_{\|}$		16		
		ნორმატიული მნიშვნელობა	$\varphi_{ნ}$		18		
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ²)			100(1,0)	15(150)	45(450)	–
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)			120(1,2)	200(2,0)	400(4,0)	–
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებული მდგომარ. R_C კპა (კგძ/სმ²)			–	–	–	17600 (176)
7	დრეკადობის მოდული $E_{დრ}$ მპა			–	–	–	4412,0
8	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ³			2,0	2,5	6,0	100,0
9	პუასონის კოეფიციენტი, μ			0,35	0,35	0,27	0,20
10	ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი f_n			0,25	0,30	0,50	0,70

შენიშვნა: 1. ცხრილში მსხვილნატეხოვანი გრუნტის (ფენა 3) დეფორმაციის და სიმტკიცის მახასიათებლების მნიშვნელობები მიღებულია პნ 02.01-08-ის დანართი 2-ის, მუხლი 2-ის, ცხრილი 1-ის ა) პუნქტში მოცემული მნიშვნელობების კორექტირებით.

2. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ბურღვისას, საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობა (Cr) აიღება სნ და წ 2.02.03-85-ის დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით.

5. ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლები და შენობები დაფუძნებულია ძირითადად ლენტური ტიპის, ყირე-ქვის და ბეტონის საძირკვლებით **II სბე**-ის გრუნტზე თიხნარზე (ფენა 2). ცალკეულ უბნებზე საყრდენი კედლები და ივ. ჯავახიშვილის სახლმუზეუმის შენობა დაფუძნებულია **IV სბე**-ზე – ძირითად ქანზე (ფენა 5).

   საძირკვლის ტიპი, მასალა, ზომები და ფუძის გრუნტი მოცემულია გრაფიკულ მასალაზე.

6. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – III კატეგორიას;

ბ) თიხნარები (ფენა 2), მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3) და ძირითადი ქანები (ფენა 4 და 5) – II კატეგორიას.

ტერიტორიის საანგარიშო სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისისთვის A=0,17.

7. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტის წყლების დონემდე მიწისქვეშა სართულების ჩაღრმავების შემთხვევაში, საჭირო იქნება პროექტში გათვალისწინდეს წყალდამცავი ღონისძიებები (დრენაჟი, ჰიდროიზოლაცია).

წყლის საორიენტაციო მოდენი დრენაჟის თითოეული კვ. მეტრიდან მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ.

8. ქვაბულის ჩაღრმავებისას გრუნტის წყლის დონემდე საჭირო იქნება წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება, წყლის მოდენი ქვაბულის თითოეული კვ. მეტრიდან საორიენტაციოდ მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ.

9. გრუნტის წყლების ძლიერი სულფატური აგრესიულობის გამო, მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის გამოყენებული იქნეს პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით $C_3S<65\%$, $C_3A<7\%$, $C_3A+C_4AF<22\%$, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტები.

10. ქვაბულის და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებისთვის მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის პპ 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მიხედვით.

11. ქვაბულის 5 მ-ზე სიღრმის ქვემოთ ჩაღრმავებისას საჭირო იქნება პროექტში გათვალისწინდეს კედლების გამაგრების ღონისძიებები (ხიმინჯოვანი გამაგრება)

12. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV-2-82-ის I-I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – სამივე სახეობით დამუშავებისას (ერთცი-ცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით, ხელით) – II ჯგუფს, სიმ-კვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24^ა);

ბ) თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1890 კგ/მ^3 (რიგ. №33^3);

გ) კენჭნარი გრუნტი (ფენა 3) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1950 კგ/მ^3 (რიგ. №6^3);

დ) ძირითადი ქანი – ძლიერ გამოფიტული (ფენა 4) – ხელით დამუ-შავებისას – Vp ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ^3 (რიგ. №28^ბ).

13. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ბურღვისას გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუ-ფების მიხედვით, ბურღვის მეთოდის და სიძნელის, აგრეთვე, მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება ამავე ნორმატიული დოკუმენტის კრებული 4-ის („ჭაბურღილები“) 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი ალ. პასიკაშვილი

შპს „გეოინჟკომპლექსის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

სს „საქქალაქქალაქმშენპროექტის“ მიერ 2006 წელს
ჩატარებული ლაბორატორიული კვლევები

| ს.ს. „საქალაქმშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74 | ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები | | |

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟ. კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია
ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი. საძანელას ჭუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა	
ჭაბურღილი № 1	ადების სიღრმე h = 6,0 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბორ.№ 110

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	31,3	27,4
სიმკვრივე	ბრუნტის	ρ	გ/სმ³	1,89	1,97
	მშრალი ბრუნტის	ρ_d		1,44	1,55
	ბრუნტის ნაწილაკ.	ρ_s		2,70	
ფორიანობა		n	%	46,7	42,6
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,875	0,741
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,97	1,00
კონსისტენციის ზღვრები	ზედა ზღვარი	W_L	–	0,35	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,23	
	რიცხვი	I_p	–	0,12	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,69	0,37

ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,12	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,875	0,836	0,813	0,796	0,783	0,772	0,763	0,755	0,747
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	21	33	42	49	55	60	64	68
კუმშვადობის კოეფიციენტი		α	10^{-5} პა$^{-1}$		0,078	0,046	0,034	0,026	0,022	0,018	0,016	0,016
დეფორმაციის მოდული (საერთო)	კომპ	E	მპა		1,2	2,1	2,8	3,6	4,2	5,0	6,2	6,2
	თავის	E	მპა		3,7	7,1	9,8	13,3	16,0	19,5	24,2	24,2

ინჟინერი ნ. სურგულაძე წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟ. კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია
ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი. საძანელას ჭუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა	
ჭაბურღილი № 2	ალების სიღრმე h = 6,0 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბორ.№ 111

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	28,1	26,2
სიმკვრივე	ბრუნტის	ρ	გ/სმ³	1,87	1,94
	მშრალი ბრუნტის	ρ_d		1,46	1,54
	ბრუნტის ნაწილაკ.	ρ_s		2,70	
ფორიანობა		n	%	45,9	43,0
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,849	0,753
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,89	0,94
კონსისტენციის ზღვრები	ზედა ზღვარი	W_L	–	0,33	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,21	
	რიცხვი	I_p	–	0,12	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,59	0,43

ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,12	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
